

შპს ჯორჯიან თრეიდინგ კომპანი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები	12
5. სავაჭრო მოთხოვნები	12
6. სავაჭრო ვალდებულებები	12
7. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13
8. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13
9. ხელფასები და სხვა სარგებელი	13
10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	14

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31-12-20	31-12-19	31-12-18
აქტივები	შენიშვნა		(გადაანგარიშებული)	(გადაანგარიშებული)
ფული და ფულის ექვივალენტები	4	10,687	5,464	14,733
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,070,222	1,811,599	1,575,863
მარაგები		69,039	238,138	1,906,281
გადახდილი ავანსები		61,682	1,632	37,194
სხვა მიმდინარე აქტივები		298,978	251,582	94,295
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,510,608	2,308,415	3,628,366
ძირითადი საშუალებები		11,721	20,567	395,788
არამატერიალური აქტივები		1,209	1,209	2,417
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,930	21,776	398,205
სულ აქტივები		1,523,538	2,330,191	4,026,571
ვალდებულებები და კაპიტალი				
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	6	740,423	1,072,200	1,753,094
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	335,782
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		3,220	3,220	89,418
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	405,828	418,020
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	-	91,403
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		743,643	1,481,248	2,687,717
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7	161,779	262,660	1,045,945
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		161,779	262,660	1,045,945
სულ ვალდებულებები		905,422	1,743,908	3,733,662
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		617,916	586,083	292,709
სულ საკუთარი კაპიტალი		618,116	586,283	292,909
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,523,538	2,330,191	4,026,571

დირექტორი



ლევან კალანდარიშვილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	435,762	6,444,422
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	(330,592)	(5,202,065)
საერთო მოგება		105,170	1,242,357
ხელფასები და სხვა სარგებელი	9	-	(849,892)
იჯარის ხარჯი		-	(24,202)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(8,846)	(8,846)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		-	(8,519)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(3,597)	(29,935)
საოპერაციო მოგება		92,727	320,963
საპროცენტო ხარჯი		(60,314)	(130,530)
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი		(580)	102,941
მოგება დაბეგვრამდე		31,833	293,374
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		31,833	293,374

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	(გადაანგარიშებული)	200	292,709	292,909
წმინდა მოგება	(გადაანგარიშებული)	-	293,374	293,374
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	(გადაანგარიშებული)	200	586,083	586,283
წმინდა მოგება		-	31,833	31,833
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი		200	617,916	618,116

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯორჯიან თრეიდინგ კომპანი დაფუძნდა 2010 წელს. კომპანიის მისამართია: თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქ., N20, ბ. N10 მისამართზე. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 406034278. კომპანიის მფლობელია შემდეგი ფიზიკური პირი:

ლევან კალანდარიშვილი (პ/ნ 01015008724) – 100%

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფს მართავს დირექტორი ლევან კალანდარიშვილი (ს/კ 01015008724), რომელიც აგრეთვე არის კომპანიის 100% წილის მფლობელი.

შპს ჯორჯიან თრეიდინგ კომპანი ფლობს 100% წილს შპს ჯი თი სი ქონსტრაქშენში (ს/კ 404549501), რომელიც დაფუძნდა 2017 წლის დეკემბერში.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

COVID-19-ით გამოწვეულმა ფინანსურმა კრიზისმა მნიშვნელოვანად შეაფერხა გაყიდვები, თუმცა, ამ ანგარიშგების თარიღისთვის უძრავ ქონებაზე და სამშენებლო მასალებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაზრდილია. კომპანიის მენეჯმენტმა გააკეთა პროგნოზი და სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის. შედეგად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2020 წელს ჯგუფმა ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად ჯგუფმა გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, ჯგუფმა მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ის ფინანსური უწყისები რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, ჯგუფმა წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი.

გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, ჯგუფმა ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

აქტივები	31-12-19	31-12-18
ფული და ფულის ექვივალენტები	18,869	14,733
სავაჭრო მოთხოვნები	1,806,119	1,575,862
მარაგები	222,151	1,906,281
გადახდილი ავანსები	1,776	37,194
სხვა მიმდინარე აქტივები	107,246	94,295
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,156,161	3,628,365
ძირითადი საშუალებები	30,696	402,090
არამატერიალური აქტივები	1,209	2,417
სულ გრძელვადიანი აქტივები	31,905	404,507
სულ აქტივები	2,188,066	4,032,872
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,070,824	1,753,094
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	335,781
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3,220	89,418
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	391,616	418,021
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	91,403
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,465,660	2,687,717

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	276,873	1,045,945
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	276,873	1,045,945
სულ ვალდებულებები	1,742,533	3,733,662
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	445,333	299,010
სულ საკუთარი კაპიტალი	445,533	299,210
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2,188,066	4,032,872

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19
შემოსავალი რეალიზაციიდან	5,332,729
რეალიზებული პროდუქციის	(4,246,414)
თვითღირებულება	
საერთო მოგება	1,086,315
ხელფასები და სხვა სარგებელი	(849,365)
იჯარის ხარჯი	(24,202)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	(8,846)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(8,519)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(29,844)
საოპერაციო მოგება	165,539
საპროცენტო ხარჯი	(130,530)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	111,314
მოგება დაბეგვრამდე	146,323
მოგების გადასახადი	-
წმინდა მოგება	146,323

3. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

ჯგუფი ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
3.2766	4.0233	3.2766
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

3.2 ძირითადი საშუალებები

ჯგუფი ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	2-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-7

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ჯგუფში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის ჯგუფს არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

ჯგუფის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

3.5 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

ჯგუფი ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია ჯგუფის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფს ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის ჯგუფს აქვს ფული სალაროში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	2020	2019
ფული სალაროში	6,472	561
ფული საბანკო ანგარიშებზე	4,215	4,903
სულ	10,687	5,464

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ გაუწია მომსახურება და რომელთაგანაც მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯამში კომპანიას გააჩნდა დაახლოებით 120 დებიტორი 2020 წლის ბოლოს.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო მოთხოვნები	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	476,326	1,259,278
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	593,896	552,321
სულ:	1,070,222	1,811,599

6. სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	2020	2019
საქონლის იმპორტირებისას წარმოქმნილი ვალდებულებები	267,255	568,289
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	473,168	503,911
სულ:	740,423	1,072,200

7. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები წარმოადგენს ქართული ბანკისგან მიღებულ სესხს. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 14%-ს.

8. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის საბითუმო და საცალო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით. 2020 წელს შემოსავლის მნიშვნელოვანი ვარდნა ძირითადად განპირობებული იყო COVID 19-ით გამოწვეული ფინანსური კრიზისით, რომელმაც შეამცირა მოთხოვნა უძრავ ქონებასა და სამშენებლო მასალებზე

2020 და 2019 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

შემოსავალი რეალიზაციიდან	2020	2019
შემოსავალი სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან	435,762	5,996,635
შემოსავალი ტრანსპორტირების მომსახურებიდან	-	31,758
სხვა შემოსავალი	-	416,029
სულ შემოსავლები	435,762	6,444,422
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(330,592)	(5,202,065)
საერთო მოგება	105,170	1,242,357

9. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი	2020	2019
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	-	585,170
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	-	264,722
სულ:	-	849,892

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში არ უფიქსირდება ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ. წლის განმავლობაში სახელფასო ხარჯი შეადგენდა 0 ლარს. კომპანიის საქმიანობაში ჩართული იყო მხოლოდ დამფუძნებელი.

10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეიცავს დაკავშირებულ კომპანიებთან შემდგომ თანხებს:

ტრანზაქციები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებთან	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები	476,326	1,259,278

2020 და 2019 წლებში მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 0 ლარი და 585,170 ლარი წლების შესაბამისად.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.